საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000090172515219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **35** **07 / აგვისტო / 2019 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 07 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“24-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ე. ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“- 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე და 63-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალების აქტიური ნაწილის შვიდი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 07 მარტის N18 განკარგულებაში და ამოღებულ იქნას აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ. ახმეტა, ი. ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი